

ასპაი – ლიტერატურა და ხელოვნება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის
aspei – literatur und kunst zwischen ost und west

შრიფტისchriftыиϕтscript

ასპაის დღეები თბილისში, 17-20 სექტემბერი, 2014

გამოფენა „შრიფტის“ თანმდევნი ღონისძიებები, 5 სექტემბერი-3 ოქტომბერი,
გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი

17 სექტემბერი: გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი, 18.00 სთ.

პოეზიის საღამო: ადგილობრივი, ჯავახიშვილი, ბარბაქაძე, ოქროპირიძე, ჰიუტელი, იათაშვილი (ქართ.,
გერმ., ინგლ.)

18 სექტემბერი: გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი, 18.00 სთ.

გოეთეს რადიო, მუსიკალური პერფორმანსი: პშენიჩნიკოვა, შულტჰაისი, ზურბერგი, ჩერნიშკოვი,
ცელტერი, ჰიუტელი (გერმ., ინგლ., რუს.)

ალმატიკი დაეხტა, მუსიკალური პერფორმანსი, პშენიჩნიკოვა, ჩერნიშკოვი

19 სექტემბერი:

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული და გერმანული ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრში (ზურაბ სამარდანიშვილი), 15.00 სთ.

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი ჰილდებრანდ-შატი: ასპაი თბილისში (გერმ.) ლემანი: ილია ზნადევიჩი
- ილიაზდი: ხელოვანი თბილისსა და პარიზს შორის (გერმ.), 18.00 სთ.

20 სექტემბერი: გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი

ნანა ჯავახიშვილი: ვორკშოპი ბავშვებისათვის, 15.00 სთ.

ჰენსგენი, ლაიდერმანი: შნეფელდი, როგორც „კოლექტიური აქციების“ არქივი, ვიდეო და
კომენტარი (ინგ./გერმ.), 18.00 სთ.

ლაიდერმანი: ბირმინჰემის ორნამენტი, ფილმი/ვიდეო და კომენტარი (რუს./ინგლ.)

27 სექტემბერი:

ნანა ჯავახიშვილი: ვორკშოპი ბავშვებისათვის, 15.00 სთ.

სოფიო კინურაშვილი: ქართული შრიფტის ისტორია და თანამედროვეობა (ქართ.). დრო და
ადგილი დასაზუსტებელია

ღონისძიებების ზუსტი დრო და ადგილი გამოქვეყნდება სექტემბერში ასევე ასპაის ვებ-გვერდზე www.aspei.de/Projekte

პროგრამა

17 სექტემბერი: გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი

პოეზიის საღამო

სერგეი ოქროპირიძე: მემკვიდრე

ექვანება დათო დავლიანიძეს

ბარბაროსის დაუნდობელი ხელით,

დაეცა ელინი ბრძოლაში.

მისი ნატიფი ფრჩხილები

სასიკვდილო ბორგვაში თხრიდნენ მიწას,

შეამჩნია პირქუშმა გამარჯვებულმა,

მოენონა.

დაიხარა მომავკვდავზე, დიდხანს ეძებდა რაღაცას მის მკერდზე,

ბოლოს იპოვა ჯერ ისევ თბილი ქლიბი,

მიატოვა ბრძოლის ველი,

მიაშურა სხვა ველს,

და დაიწყო ტლანქად

ფრჩხილების წმენდა...

მთარგმნელი: ფიქრია ნაროუშვილი

კარლო კაჭარავა: ეგნატე ნინოშვილი

ეგნატე ნინოშვილის აჩრდილი ებრძვის პურის რიგში მდგომთა ღამეს.

ყველა მისი სამხილი ცუდად შემჩნეულია და იაფად ეწირება რამეს:
ავტობატს ან თურქულ შარვალს.

მისი ყველა მხილება ცუდად შემჩნეულია, როგორც კედლის მიღმა
ორსული ქალის ხველება.

თემური ჯავახიშვილი: გიჟი მეგაფონით

გი შენნ!

დამიბრუნე:

КГБ – სგან ნანამები (ნაციონალური გმირი) – ბაში აჩუკი.

ჩერნობილში დაცვენილი თმები.

„ოზონის ხვრელის“ ამოსავსები მალამო.

სიყვარული – რომელიც არ მახსოვს.

შაქარში გახვეული კვნესა.

ბიროზგაზე მიყუდებული „ჩასტუშკები“.

უდაბნოში მომღერალი ქარი.

წვიმა – აორთქლებული ცრემლები.

უძღები შვილი – ბუდიდან გადმოვარდნილი თვით-მფრინავი.

გი შენნ!

დამიბრუნე მეგაფონი!...

ჩემი ხმა.

მარტინ პიუტელი: თბილისი

მთარგმნელი: თემური ჯავახიშვილი

თბილისი. თითქოს დაბნეული დღეები ხმამაღლა ცდილობს რომ აღმოხდეს ისტორიის ხანგრძლივი და ნაგუბი სუნთქვა, შიში, რომელსაც შეუპყრია, შეუბოჭავს, ითვლის, არც ითვლის თავდახრილთა ქანცგანწყვეტილ გაყინულ და უნდობელ მზერას.

გამუდმებით გვარწმუნებს, რომ ის ვინც ჩვენ ვართ, ჩვენ არა ვართ, უნდა მოგვწონდეს ჩვენი თავი, ქცევა, კაცობა და იქ, სადაც ყელყელაობს ცრუ სიტყვათა ორპირი ქარი და ქართლის დედის ჩამწვარი ფული ფუჭ-ლარი-ფარის.

18 სექტემბერი: გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი

მუსიკალური პერფორმანსი: გოეთეს რადიო (ნატალია პშენიჩნიკოვა, ბერლინი, ბერნდ შულტჰაისი, ბერლინი, ერნსტ ზურბერგი, ბერლინი)

გოეთეს რადიო, პირველ რიგში, ლიტერატურული ლექსია, კონკრეტული პოეზია, მთავარი გმირების - იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ფრედერიკ შოპენისა და ნიკოლაი ტესლას მოფარფატე შეხვედრა. ტექსტი სამ ენაზეა (გერმანულად, რუსულად და ინგლისურად).

პერფორმანსის მთავარი გმირი დროსა და სივრცეში მოგზაურობს. მას თან დააქვს გადამცემი მონყობილობები, რომლიდანაც ჩანერილ მასალას უშვებს და რომელთანაც ტრიალოვში შედის. სემანტიკური თვალსაზრისით საქმე გვაქვს მონოლოგთან, მაგრამ ჟღერადობით (ფონეტიკურად) - სამენოვანების გამო - სამხმოვანებას ვიღებთ, რომლის თითოეული ხმა შეფერილობით, რიტმითა და ინტონაციით განსხვავდება ერთმანეთისგან. მთავარი ხმა ამ სამ ენიდან მონაცვლეობით ირჩევს ერთ-ერთს, შესაბამისად ჩანანერის მეორეხარისხოვანი ხმებიც იცვლება.

ამ სამხმოვანი ენებისა და ჟღერადობების დინებაში იშლება საფორტეპიანო ბგერების გარემოცვით მოსილი ლექსი, რომელიც, შესაძლოა, შოპენისგან ოღებდეს სათავეს, მაგრამ „ჭაერიტა და ელექტრომაგნიტური ველების“ ზეგავლენით ის სრულებით ტრანსფორმირებულია. ფორტეპიანოზე შესრულება ერთგვარ რეფერირებად სისტემად გვეჩვენება. ვირტუოზული ტექნიკა თანაბრად დანაწევრებულია. ელექტრო მონყობილობების მუშავებით ეს სისტემა ახალი ჟღერადობის სივრცეებში გადადის. ყველა პარამეტრი ახლებურად წარმოჩნდება. საფორტეპიანო შესრულება ელექტრობასთან და ხმასთან ერთად გამოხატვის ფართო საშუალებად იქცევა, როდესაც წინა პლანზე ინფორმაციის კომპონენტი კი აღარ დგას, არამედ შესრულების ხელოვნება და ჟღერადობა, რომელიც თავდაპირველი ინფორმაციიდან მომდინარეობს.

მუსიკოსები: ნატალია ფშენიჩნიკოვა (ხმა, პერფორმანსი), ერნსტ ზურბერგი (ფორტეპიანო), ბერნდ შულტჰაისი (ცოცხალი ელექტრონული შესრულება). ტექსტი: ადოლფინ ცელტერი და მარტინ პიუტელი

შავი კვამლი იკლავება, დროშასავით მაღლა მიიწევს, ის მძვინვარებს, ბოლთას ცემს, დააბოტებს, წრიულად დადის, ბილნსიტყვაობს, ხმამაღალ და ფარისველურ სიგიჟეს სჩადის.

ეჰჰჰ, დაივინყე, არაფერი და მაინც ღმერთმა იცის, რომ ვინც რჩეულია, არ ეკარება სიბინძურე, ცეცხლი და ტყვია, ის ვინც მიდის, მოდის კიდევ ნათლისცემით, სიბნელეს სძლია.

შოთა იათაშვილი: მფრინავი

გაფრინდა და მართალი აღმოჩნდა:

შეაქვს, დალოცეს, მოუდრიკეს ქედო.

გაფრინდა მეორედ და კვლავ მართალი აღმოჩნდა:

მიიღეს, არ დაამადლეს პური, წყალი და

სავარცხელი ფრთა-ბუმბულისათვის.

გაფრინდა მესამედ და ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა:

აიტანეს, შეეგუენ.

გაფრინდა მეოთხედ და მტყუანი აღმოჩნდა:

ანგელოზის სულელი პლაგიატორი უწოდეს.

მაინც გაფრინდა მეხუთედ და -

ესროლეს,

მოკლეს.

ალმატიკი დაეხტა (ნატალია ჰშენიჩნიკოვა, ბერლინი; ალექსანდერ ჩერნიშკოვი, ვენა)

19 სექტემბერი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ქართული და გერმანული ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ზურაბ სამარღანიშვილი)

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების ყველაზე მნიშვნელოვანი საცავია საქართველოში. აქ თავმოყრილია ქართული კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი საგანძური - მდიდრულად ილუსტრირებული უნიკალური ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები, ძველნაბეჭდი და რარიტეტული გამოცემები, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები, მემორიალური ნივთები და სხვ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უნიკალური კოლექცია მრავალ დარგსა და სფეროს მოიცავს. ესენია: ისტორია, გეოგრაფია, მოგზაურობა, სამართალი, ლექსიკონები, სამკურნალო წიგნები, მხატვრული ლიტერატურა, ბიბლიური ტექსტები, ჰაგიოგრაფია, სამართალი, საეკლესიო სამართალი, ფილოსოფია, ასტროლოგია, მათემატიკა, სამხედრო საქმე როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე (არაბული, სპასული, თურქული, ბერძნული, სომხური, სირიული, ეთიოპური, მონღოლური, რუსული, ფრანგული და სხვ.)

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თავმოყრილია:

V-XIX საუკუნეების 10.000-მდე ქართული (მათ შორის 4.000-მდე უმნიშვნელოვანესი პალიმფსესტური ფურცელიც) და 4.000-მდე უცხოური (არაბული, სპარსული, თურქული, რუსული, სომხური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული, ლათინური, ებრაული, პოლონური, ინგლისური, ჩეხური, სირიული, ეთიოპური, მონღოლური და სხვ.) ხელნაწერი;

X-XIX საუკუნეების 40.000-მდე ქართული და 5.000-მდე უცხოენოვანი ისტორიული დოკუმენტი, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპარსული და თურქული დოკუმენტები, მათ შორის კი შაჰის ფირმანები, ოქმები.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. საარქივო ფონდში თავმოყრილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მწერლების, პოეტების და საზოგადო მოღვაწეების, მხატვრების, პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეების, ემიგრაციის მოღვაწეების, სასულიერო პირების, აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების და სინოდის კანცელარიის არქივები.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შეადგენს აღნიშნული ხელნაწერი მემკვიდრეობის დაცვა, სამეცნიერო კვლევა, შესწავლა, სამეცნიერო პუბლიკაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა, რესტავრაცია და კონსერვაცია, საგამოფენო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

ასპაი თბილისში (ვიოლა ჰილდებრანდ-შატი, მაინის ფრანკფურტი)

ამ ნამუშევარში შრიფტს წამყვანი როლი ენიჭება. საქმე ეხება არა ტექსტს ჩვეული გაგებით; ასპაის ნამუშევრები უბრალოდ წიგნები როდია. რამდენადაც მათში წამყვანი შრიფტი და ტექსტია, იმდენად ისინი არა-ტრადიციულად უნდა იქნას წაკითხული. რას ნიშნავს ასპაისა და მისი ნამუშევრების ამგვარი დახასიათება?

მართლაც, ასპაის მოღვაწეობა ძირითადად პუბლიკაციებში მდგომარეობს, ესენია: კრებულები, კატალოგები და სპეციალური გამოცემები. ასპაის არსი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგშია და ის სახელოვნებო და წიგნის გამოფენებით, ლიტერატურული საღამოებითა და ლექციებით, კონცერტებითა და პერფორმანსებით ხორციელდება. გამოხატვის ამგვარ გარდამავალ ფორმებს ტექსტები უპირისპირდება; ისინი დიალოგს მუდმივ ხასიათს მატებს. ტექსტისა და გამოსახულების სინთეზი ჩვეული წესების დაცვით როდი ხდება. გამოსახულება ტექსტის ანოტაციის ფუნქციას ასრულებს, ტექსტები გამოსახულებად იქცევა, სიტყვიერ და ტექსტობრივ სურათებად, რომლებსაც საკუთარი დინამიკა გააჩნია. აქ წამყვანი დიალოგი და კომუნიკაციაა ფართო გაგებით და აზრის გადმოცემის მრავალგვარ ფორმას აერთიანებს. ისმის კითხვა, როგორ მუშაობს ამგვარი გაზიარება, როგორ შეიძლება ხელოვნება ხელოვნებად აღიქმებოდეს და რა როლს შეიძლება ასრულებდეს მისი გარემოცვა. ამით ხელოვნების ეს ფორმა კონცეპტუალური ხელოვნების პრინციპებთან ახლოს დგას.

კონცეპტუალური შემოქმედების მთავარი პრინციპი გაზიარება, ხელოვნების ყოველდღიურობის ნაწილად გადაქცევა და მისი შესაბამისი შინაარსით დატვირთვაა. შემოქმედების ნიმუშად წოდებული ნივთი აღარ დგას ამ ყველაფრის ცენტრში, წინა პლანზე იდეების გაზიარება გამოდის მატერიალიზაციისგან დამოუკიდებლად. ახალი შესაძლებლობებით განპირობებულ მოქმედების არეალს ასპაიც იყენებს. შესაბამისად, ნამუშევრებიც სრულებით უპრეტენზიოა. შეიძლება მათი გამოფენა, თუმცა არც ეს არის გადამწყვეტი, ისევე როგორც ჩარჩო, რომელშიც ისინი უნდა ჩაისვას. თავის სათქმელს ისინი მარტივად ნაბეჭდი ფორმითაც ამბობს. ამით ასპაი არც იმის საშიშროების წინაშე დგას, რომ ნამუშევრების შინაარსს ფორმა შთანთქავს. სათქმელის, გასაზიარებლის დედააზრი ამგვარად წინა პლანზე რჩება.

როგორც კონცეპტუალური ხელოვნება გამოსახულებით ნამუშევრებს ახალ გზაზე ატარებს და მას ძველმოდურად აცხადებს, ასევე ასპაის ნაწარმი ახალ პოზიციებს იმკვიდრებს. სწორედ ამიტომ არ იზღუდება ის რომელიმე ერთი მედიუმით, არამედ იტოვებს ლიტერატურასა და ხელოვნებას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოქმედების თავისუფლებას.

ილია ზდანევიჩი - ილიაზდი: ხელოვანი თბილისსა და პარიზს შორის (გუდრუნ ლემანი, დიუსელდორფი)

მოსხენება ეძღვნება ავანგარდისტულ ჯგუფ 41°-ს, რომელიც სულ რამდენიმე წელი (1917-1920) არსებობდა და რომელმაც თავისი ექსპერიმენტული ცენტრი 41-ე განედზე - თბილისში - დააარსა. ჯგუფის წევრები შოკის მომგვრელი აქციებით, ხმოვანი-პოეტური და ექსტრავაგანტული ტიპოგრაფიული ბეჭდვის მეთოდებით გამოირჩეოდნენ. ამასთან, საგანგებოდ დაფუძნებული „41° უნივერსიტეტი“ ფართო აუდიტორიას ლექციებს, კონცეფციებსა და სკანდალებს სთავაზობდა. ჯგუფის უმთავრესი ინიციატორი ილია ზდანევიჩი გახლდათ. საფრანგეთში გადასახლების შემდეგ მან 1921 წელს მეტსახელად ილიაზდი შეირქვა, რითაც ხაზი გაუსვა უშუალო კონტაქტს დასავლეთევროპულ ავანგარდთან. მისი ტიპო-პოეტური, ორკესტრალური და კონცეპტუალური ბეჭდური ხელოვნება ფუტურისტულ და დადაისტურ დინებებს ეხმიანება და წინ უსწრებს ფრანგულ ლეტრიზმს. ილიაზდის მიერ გამოჩენილ ხელოვანებთან ერთად შექმნილი წიგნები მუდამ 41° ლოკოთი ქვეყნდებოდა.

20 სექტემბერი, გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი

შნეფელდი („თოვლიანი მდელო“) როგორც „კოლექტიური აქციების“ არქივი, ვიდეო და კომენტარი (საბინე ჰენსგენი, ბოხუმი და იური ლაიდერმანი, ბერლინი)

1976 წლიდან „კოლექტიური აქციების“ მიერ „ქალაქიდან გასვლის“ ფარგლებში მოსკოვის ქალაქურ გარემოში მცხოვრები მონაწილეები ახლომახლო სოფლებში ერთობლივ გასვლებს აწყობენ. გაშლილი, თეთრი მდელო, რომელიც ცარიელ ფურცელს მოგვაგონებს, მინიმალური ქმედებების სცენად იქცევა, რომლებიც დროსა და სივრცეში აღქმის ელემენტარულ სტრუქტურებს ეძღვნება. „კოლექტიური აქციები“ არ შემოიფარგლება ამგვარი სიტუაციების აღქმით; მისტიური გარემო კომენტარების ტექსტების სტიმულის როლს ასრულებს. მოგვიანებით ჯგუფმა აქციების დოკუმენტაციის კრებულების შედგენა დაიწყო, რომლებიც სხვადასხვა ჟანრს აერთიანებს: აღწერით ტექსტებს, ფოტოს, ვიდეოს, მონაწილეთა მონათხრობს, თეორიულ სპეკულაციებს, დისკუსიებს და ა.შ. ლექცია-პერფორმანსში საბინე ჰენსგენი და იური ლაიდერმანი „კოლექტიური აქციების“ შნეფელდის ვიდეოების მაგალითზე ჯგუფის მოქმედებების მათ დაარქივებასთან მიმართებაზე ისაუბრებენ. ჯგუფ „კოლექტიური აქციების“ სერია ასპაის დღეების ფარგლებში თბილისის შემოგარენში დაგეგმილი აქციით გაგრძელდება.

ბირმინჰემის ორნამენტი, ფილმი/ვიდეო კომენტარით (იური ლაიდერმანი, ბერლინი):

იური ლაიდერმანმა ანდრეი სილვესტროვთან ერთად შექმნა ფილმი „ბირმინჰემის ორნამენტი“. მისი პირველი ნაწილი (2011 წ.) ცალკეულ თავებში წარსულსა და აწმყოს აერთიანებს. ფილმში მეორე მსოფლიო ომის თანამედროვე აღქმასანდერ ლაიდერმანი ომის საშინელებებს იხსენებს. ფილმი ეხება ეროვნული იდენტობის პრობლემას, რის გადმოცემასაც იური ლაიდერმანი ტერმინით „გეოპოეტიკა“ ცდილობს.

ფილმი ასევე ხელოვნებისა და დესპოტიზმის ურთიერთდამოკიდებულებაზეა.

ფილმის მეორე ნაწილმა 2013 წელს რომის საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური პრიზი მოიპოვა.

ქართული დამწერლობა და შრიფტი. ისტორია, თანამედროვეობა (სოფია კინწურაშვილი, თბილისი)

ყველაფერი 80-იან წლებში დაიწყო, როდესაც ჩვენ, ახალგაზრდა მხატვრებს, გრაფიკოსებს, უკვე გვიხდებოდა მუშაობა გრაფიკული დიზაინის სფეროში, წიგნების გაფორმება და ილუსტრირება. მუშაობის დროს ვაწყდებოდით დიდ სირთულეებს შრიფტთან დაკავშირებით, ვინაიდან ვცდილობდით ამ თვალსაზრისით სიახლე შეგვეტანა წიგნის გაფორმებაში, შრიფტების არჩევანი კი ძალიან მწირი იყო. პრაქტიკულად არ არსებობდა არც ერთი გამოცემა, სადაც იქნებოდა ვრცელი ვიზუალური ინფორმაცია ქართული შრიფტის და მისი განვითარების ეტაპების შესახებ.

გაჩნდა იდეა მოგვეძია და შეგვეგროვებინა ძველი და ახალი არსებული საინტერესო შრიფტები. ნანა ჭურღულიამ, მე და თამაზ ვარჯარიძემ დავიწყეთ ამ იდეის განხორციელება. მაშინ არ ვიცოდით, რამდენად გაფართოვდებოდა ჩვენი მიზნები და რა რთული და გრძელი გზა გვექნებოდა გასავლელი.

საუკეთესო გზა იყო რამე ორგანიზაციის შექმნა. გადავწყვიტეთ „გრაფიკული დიზაინის ასოციაციის“ ჩამოყალიბება. პირველი და ყველაზე აუცილებელი იყო შესაბამისი ტექნიკის შეძენა. კომპიუტერი საქართველოში სწორედ იმ პერიოდში იდგავდა ფესს. პროექტი გრანტის მოსაპოვებლად ფონდ „ღია საზოგადოება საქართველო“-ში წარვადგინეთ. აქ გველოდა პირველი იმედგაცრუება, კომისიამ უარი გვითხრა პროექტის დაფინანსებაზე, თუმცა ჩვენ შემდგომში შევძელით ექსპერტთა საბჭოს დარწმუნება პროექტის განხორციელების აუცილებლობაში და საბოლოოდ მოვიპოვეთ გრანტი. მოგვიანებით, როდესაც გავაანალიზეთ უარის მიზეზი, მივხვდით, რომ იმ დროისთვის საქართველოში არსებობდა ერთგვარი მონოპოლია შრიფტის სფეროში, ამაში ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც რამდენიმე ავტორმა უარი გვითხრა შრიფტის ნიმუშების მოწოდებაზე. თუმცა ჩვენი ერთუზიანობა არ შენელებულა და გარკვეული დროის შემდეგ ჩვენც იმ შრიფტის „მაფის“ ნევრებად გვადიარეს, რაც ძალიან გვახალისებდა.

წელ-წელა გროვდებოდა საინტერესო და უნიკალური მასალა პირველი პალეოგრაფიული ნიმუშებიდან თანამედროვე შრიფტებამდე. პროექტი წარმატებით ჩავაბარეთ, მაგრამ ამ მდიდარი მასალით ხელში ჩვენი გაჩერება შეუძლებელი იყო. გადავწყვიტეთ ამ მასალის საფუძველზე ქართული დამწერლობის და შრიფტის განვითარებაზე წიგნი მოგვემზადებინა.

ეს პროცესი საკმაოდ გაინელა. კერძო სტამბების გაჩენასთან ერთად იზრდებოდა ბეჭდვის ხარისხიც, გაჩნდა საზღვარგარეთ ბეჭდვის შესაძლებლობაც, ამიტომ შავ-თეთრი მასალის დიდი ნაწილი ჩანაცვლებას მოითხოვდა. რამდენიმე წელი თანხების მოძიებაში და მუშეუშებთან, ბიბლიოთეკებთან, არქივებთან, კერძო კოლექციონერებთან თანამშრომლობაში გავატარეთ.

ამავე დროს ჩვენთან ნაყოფიერად თანამშრომლობდა ამ სფეროს ბევრი სპეციალისტი, მეცნიერი და უბრალოდ ერთუზიანები. მრავალჯერ გადავაკეთეთ ტექსტობრივი მასალა. ჩვენი ამოცანა იყო მიგველო მარტივად და საინტერესოდ დანერგილი ტექსტები, რაც არც თუ ადვილი აღმოჩნდა და საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

ქართული ანბანი და დამწერლობა, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული მონაპოვარი დღემდე ინვესტ დიდ ინტერესს სპეციალისტთა შორის, ბევრი ამოუცნობი ფურცელია მისი წარმოშობისა და განვითარების გზაზე.

ქართული დამწერლობის 3 ნაირსახეობა არსებობს. ითვლება, რომ ერთმა (ასომთავრულმა) შვა მეორე (ნუსხური), მეორემ კი თანამედროვე-მხედრული დამწერლობა. არ არის გამორიცხული, რომ ქართული ანბანის ნუსხურიდან დღევანდელ, მხედრულზე ტრანსფორმირებისას სხვა, ჩვენთვის უცნობი გავლენის წყაროც ყოფილიყო. ამის გარკვევაში ალბათ მომავალი აღმოჩენები დაგვეხმარება.

სამივე დამწერლობა თანაარსებობდა საუკუნეების მანძილზე და სამივე გამოიყენებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო საქმეში, თუმცა შემდგომში თანდათანობით მხედრულზე გადავიდა სახელმწიფო საქმეთა წარმოება – საბუთების შედგენა და საერო ლიტერატურა, მთავრული და ნუსხური კი დარჩა სასულიერო დამწერლობებად.

საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი უძველესი წარწერები ადასტურებს, რომ უკვე V საუკუნეში ქართულ ანბანს არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. XX საუკუნის ბოლოს ნეკრესში აღმოჩენილ წარწერებს არქეოლოგიური ფენების მიხედვით მეცნიერთა ნაწილი ქრისტიანობამდელი პერიოდით, III- I საუკუნეებით ათარიღებს.

მოკლედ წიგნის „ქართული დამწერლობა და შრიფტი. ისტორია, თანამედროვეობა“ სტრუქტურის შესახებ: პირველი ნაწილი მოიცავს ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ნიმუშებს რომლებიც ტაძრების იატაკს, კედლებს და ჭვარ-ხატებს შემორჩა, საქართველოში და

მის გარეთ არსებულ ქართულ კერებში შექმნილ ხელნაწერებს, საბუთების ნიმუშებს, ნაქარგობებზე არსებულ წარწერებს და სხვა, დანყებული პირველი პალეოგრაფიული ძეგლებით, დამთავრებული 19 საუკუნის ნიმუშებით.

ნიგნის მეორე ნაწილი ეთმობა ქართული შრიფტის განვითარების ისტორიას დაწყებული 1629 წელს რომში გამოცემული ქართულ-იტალიური ლექსიკონით და ვახტანგ VI-ის სტამბით, დამთავრებული ბოლო კომპიუტერული შრიფტებით. საიტერესთა ფუტურისტული და დადაისტური ძიებანი ქართულ ნიგნებსა და პერიოდულ გამოცემებში, რომლებმაც XX საუკუნის დასაწყისის საგამომცემლო საქმეს დიდი კვალი დაამჩნია.

1955 წელს ქართული შრიფტის დიზაინერი, მკვლევარი და მოამაგე ბენო გორდემიანი, თავის ნაშრომში „ქართული მხედრული შრიფტი“, წერდა: ქართული მხედრული შრიფტის კვლევისათვის უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს, როგორც ხელნაწერი ალფაბეტების პალეოგრაფიული, ისე ნაბეჭდი შრიფტების ალბომის არსებობა.

თითქმის 60 წლის შემდეგ ნიგნის „ქართული დამწერლობა და შრიფტი. ისტორია, თანამედროვეობა“ გამოცემით მას ეს ნატვრა აუსრულდა.

20 და 27 სექტემბერი:

ნანა ჭავჭავიძე: ვორკშოპი ბავშვებისათვის

ვორკშოპი ბავშვებისათვის (ნანა ჭავჭავიძე) კერძო სკოლის „მთიების“ მოსწავლეებმა და მე-20 სახალხო სკოლის ბავშვებმა შექმნეს ნახატები, რომელთა სახელწოდება წარწერილია ნამუშევრის უკანა მხარეზე. ნანა ჭავჭავიძე, რომელიც მუშაობს ბავშვთა სახელმწიფო გალერეაში, მათთან ერთად მოაწყო ვორკშოპს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში, სადაც გამოიფინება ეს ნახატები. ეს ექსპოზიცია მოეწყობა „ასპაი“-ს გამოფენასთან „შრიფტი“ დაკავშირებით. შემდგომ კი გადაინაცვლებს გერმანიაში, ქალაქ ოფენბახის კლინგშპორის მუზეუმში.

ასპაის პროგრამის მხარდამჭერები:

